F567 ✓ 3678

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჲლოს ჯვა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-18 წელი

№ 2 (210)

იანვარი, 1969 წელი



თბილისი. იანვარი, 1969 წელი.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

მსოფლიოში პირველად

მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, კოსმოსის გმირების ახალმა დიდმა გამარჯვებამ.

14 იანვარს, 10 საათსა და 39 წუთზე მოსკოვის დროით, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტის საშუალებით გავიდა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“.

კოსმოსურ ხომალდს მართავდა საბჭოთა კავშირის მოქალაქე, კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი.

მეორე დღეს, 15 იანვარს, 10 საათსა და 14 წუთზე მოსკოვის დროით, დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გავიდა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომლის ეკიპაჟი სამი კოსმონავტისაგან შედგებოდა.

კოსმოსურ ხომალდზე იყვნენ საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები: ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი და ეკიპაჟის წევრები — ბორტ-ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევი და ინჟინერ-მკვლევარი პოდპოლკოვნიკი ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი.

35-ე გარშემოვლის დროს კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის წევრები ე. ვ. ხრუნოვი და ა. ს. ელისეევი სკაფანდრებჩაცმულნი გადავიდნენ „სოიუზ-4“-ის ორბიტურ ნაკვეთურში, გაიხადეს სკაფანდრები და დაიკავეს ახალი სამუშაო ადგილები ვ. ა. შატალოვის გვერდით.

მსოფლიოში პირველად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე განხორციელდა ორი კოსმონავტის გადასვლა ერთი ხომალდიდან მეორეში.

შეპირისპირებული ხომალდების ფრენის სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტების პროგრამა წარმატებით შესრულდა. კოსმოსის გმირები მშობლიურ დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნდნენ.

სურათზე: კოსმოსის ახალი საბჭოთა გმირები, მარჯვნიდან მარცხნივ — ბორის ვოლინოვი, ვლადიმერ შატალოვი, ევგენი ხრუნოვი და ალექსი ელისეევი.



დაამუშავა ქართველმა სპეციალისტმა

წლითიწლობით იზრდება სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის — ჰიდროელექტროსადგურების, წყალსაცავების, სარინე და სარწყავი არხების მშენებლობა. ამ ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე დიდი სახსრები იხარჯება. როგორ მივაღწიოთ მათს უფრო რაციონალურად გამოყენებას ნაგებობათა საიმედობისა და ხანგამძლეობისათვის ზიანის მიუყენებლად?

სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ჰიდროკვანძების მშენებლობისათვის გაღებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება დეფორმაციებთან — წყლის არტერიების ნაპირების კონტურებისა და კალაპოტების სიღრმის შეცვლასთან ბრძოლაში. დადგენილია, მაგალითად, რომ პატარა კაშხალიც კი ძლიერ გავლენას ახდენს კალაპოტში წყლის მდგომარეობაზე ნაგებობიდან მნიშვნელოვან მანძილზეც კი. ამიტომ მდინარის ან ხელოვნური კალაპოტების (არხების) ნაპირებს ამაგრებენ ბეტონით, ზემყარი ადგილობრივი საშენი მასალებით. ნაპირის უმნიშვნელო დეფორმაციასაც კი შეუძლია დროთა განმავლობაში შეცვალოს მდინარის კალაპოტის მიმართულება, დაარღვიოს სახნავი მიწის მთლიანობა, დაანგრიოს მდინარის გვერდით არსებული გზა.

საქართველოს მეცნიერებამ დიდი მუშაობა გასწიოს მდინარეებისა და არხების კალაპოტთა ჩამორეცხვის მექანიზმის მეცნიერული დასაბუთებისათვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევა განხორციელდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ც. მირცხულავას ხელმძღვანელობით ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. დოლიძემ შეძლო მეცნიერულად აეხსნა მდინარისა ან არხის კალაპოტში შეკრული გრუნტის ადგილობრივი ჩამორეცხვის პროცესი და შექმნა ამ მოვლენის პროგნოზის მეთოდიკა. შესაძლებელი გახდა დიდი სიზუსტით გათვალისწინება იმისა, თუ როგორ ჩამოირეცხება დროთა განმავლობაში გრუნტი წყლის ნაკადით კალაპოტში, ამ პროცესის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დადგენა.

მეთოდიკა დაამუშავა ქართველმა სპეციალისტმა ექსპერიმენტული მონაცემებისა და ხანგრძლივი თეორიული გამოკვლევების საფუძველზე. გამოყვანილია მთელი რიგი ფორმულები. მათი დახმარებით დამპროექტებლებს შეუძლიათ აწარმოონ საჭირო გამოთვლა, წინასწარ გამოთვალონ და დაგეგმონ დიდი სიზუსტით და ეკონომიური დასაბუთებით ნაპირსაცავი ღონისძიებანი მომავალი ჰიდროკვანძების დაპროექტების დროს. შესაძლებელი გახდება უკეთ გადაიჭრას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის რესურსების გამოყენების რთული ტექნიკური ამოცანები.

მეცნიერება ეხმარება წარმოებას

რუსთავის ქიმიურ კომბინატში შენდება საცდელ-სამრეწველო დანადგარი ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის მისაღებად, რომელიც საჭიროა მაღალხარისხოვანი ქიმიური წყაროების წარმოებისათვის. იგი შენდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ინიციატივით.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს აცნობა საქართველოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსმა **ე. სანაძემ**, უკვე მიღებულია მანგანუმის ელექტროლიზური ორჟანგის პირველი საცდელი პარტიები, რომლებსაც გამოიყენებენ ჩვენი ქვეყნის ელემენტთა მრეწველობაში.

რუსთავის ქიმიურ კომბინატში დაინერგება მთელი რიგი სხვა ტექნიკური სიახლეებიც. მიმდინარეობს მუშაობა ამიაკის წარმოების პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად. ამ სისტემის ამუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება აზოტის წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უახლესი მიღწევები ინერგება კაპროლაქტამის მოქმედ საამქროებში.

ზესტაფონური ფეროშენადნობები

ზესტაფონი. ამ 36 წლის წინათ ქვეყნის მსხვილ მეტალურგიულ საწარმოთა რიგებში ჩადგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი ელექტროღუმელი.

ახლა ქარხანა უშვებს 4 სახეობის შენადნობს და **ამ პროდუქციას აწვდის საწარმოს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთის 26 ქვეყანას.** საწარმო პროდუქციის გამოშვებას ყოველწლიურად 9-10 პროცენტით ზრდის.

ზესტაფონელი მეტალურგები სისტემატურად აუმჯობესებენ აგრეგატების მუშაობის კოეფიციენტს და ნერგავენ პროგრესულ ტექნოლოგიას. სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობით ქარხნის კოლექტივმა დანერგა ღარიბი მადნების გამოყენების მეთოდი, სხვა მთელი რიგი სიახლენი.

ქარხანაში აღიზარდნენ გამოცდილი მეტალურგები. მათ შორის არიან სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ქარხნის მთავარი ინჟინერი გიორგი სიორიძე, მთავარი ინჟინრის მოადგილე დავით ჩიკაშუა, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი თამარ ახობაძე, № 1 სადნობი საამქროს უფროსის მოადგილე ინჟინერი გიორგი გველესიანი, ცვლის უფროსი სოციალისტური შრომის გმირი ბაგრატ მელქაძე, ოსტატი რომან მამალაძე და სხვები.

სულ უფრო უმჯობესდება ზესტაფონელ მეტალურგთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ახლა მათ განკარგულებაშია 45 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო გასულ წელს ქარხნის კოლექტივმა 1.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღო. მათ აქვთ მუშათა клубები, ბიბლიოთეკები, საშუალო და საღამოს მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, ტექსკალური სკოლა, საზაფხულო კინოდარბაზი, მუშათა სასადილოები, აბანოები, აფთიაქი, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები. ქარხნის ყოველი მეორე მუშაკი სწავლობს საშუალო ან უმაღლეს სასწავლებელში.

ბრაიტონში, გამოფენაზე

ოკეანოგრაფიულ ხელსაწყოთა საერთაშორისო სპეციალიზებულ გამოფენაზე ბრაიტონში (ინგლისი) საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ექსპონატია გემის დინებათა თვითმწერი გმ-27. იგი დაამზადა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანამ და განკუთვნილია გემიდან 300 მეტრამდე სიღრმეზე ზღვის დინებათა სიჩქარისა და მიმართულების რეგისტრაციისათვის.

ხელსაწყო აღჭურვილია ავტომატიკით და რადიოელექტრონიკით. იგი დინების სიჩქარესა და მიმართულებას გარდაქმნის ელექტრომიპულსებად. დინების საშუალო მიმართულების განსაზღვრისათვის რეგისტრატორის პულტში დამონტაჟებულია გამშუალედებელი.

თბილისის ქარხნის 50-ზე მეტი სახელწოდების პროდუქციას ფართოდ იყენებენ ბევრ ქვეყანაში ატმოსფეროს შესასწავლად, მზის რადიაციის ინტენსივობისა და ბუნების სხვა მოვლენების გასაზომად. მარტო წელს ათასზე მეტი ხელსაწყო გაიგზავნა 52 ქვეყანაში.

წარმატებით ეწევიან სამსახურს თბილისის ქარხნის ხელსაწყოები ატომურ ყინულმჭრელ „ვ. ი. ლენინზე“, მზის რადიაციის ინტენსივობას ზომავენ აქტინომეტრები და ბალანსმეტრები, რომლებიც დადგმულია მოსკოვში ოსტანკინოს კოშკში.

ქარხნის სპეციალისტებმა განახორციელეს მთელი რიგი ხელსაწყოების მოდერნიზაცია. ადრე გამოშვებულებისაგან განსხვავებით ისინი უფრო გამძლეა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტროპიკულ ქვეყნებში. მათ სერიულ გამოშვებას საწარმო მალე დაიწყებს.

ნარკვევი

წუთისოფელი

გიორგი სანადირაძე

მეოთხე დღეა ბერიკაცს ფეხი არ გაუდგამს შინიდან.

ზის ბუხრის პირას, ცეცხლის ტკაცუნს უსმენს.

მის ოთახში იშვიათად თუ შეიხედავს ვინმე.

არც სცალიათ — ახალ წლამდე აღარაფერი დარჩენილა.

დეკემბრის პირველ ნახევარში გული გააწვრილა წვიმამ.

წვიმამ, ოდის წინ რომ პატარა ღელე ჩამორბის, გააგულიანა, და ერთ დილას, როცა ბერიკაცმა სარკმლიდან გადაიხედა, დაინახა:

რთველით შევირცხლილი ბორცვები, ერთიანად გატრუნული, მიწას მიკრული ჩაის ბუჩქები... და შუაში გადახლეჩილი, ბერიკაცის საყვარელი კაკლის ხე, მასავით მოკაკვული...

მეხი დასცემოდა — დაფშვნა, ჩაბუგვა, გასრესა მოენდომებინა.

გახლეჩით კი გაეხლიჩა, გადაეღუნა კიდეც, მაგრამ მიწასთან მაინც ვერ გაესწორებინა.

ეს ამბავი ცუდად ენიშნა ოთხმოცი წლის ისიდორეს.

იცოდა — კაკლის ხე მამამისმა, გულზვიადმა მიწის მეთარგემ, დიმიტრი არსენიძემ ვაჟიშვილის დაბადების დღეს დარგო, ერთად გაიზრდებიანო, ჩემს შვილს მისი სიძლიერე და ამტანობა დაებედებაო, და რამდენი წელიწადიც ეს ხე იდგეს, ჩემმა შვილმაც იმდენი წელიწადი იცოცხლოსო.

კაკლის ხე რომ წაიქცა, ამინდიც ერთბაშად გაყუჩდა, მიწყნარდა და ზამთრის სუსხი ძლივს აქანავებდა თავის ხორხოშიალა ტანს.

ღამღამობით, როცა ბერიკაცს სიზმრებში თუ აკვიატებული ფიქრებისაგან გაელვიძებოდა, ხედავდა, როგორ მოსინათლებულიყო ცა, როგორ კრიალებდა ვარსკვლავებით მოჭედილი და შელამაზებული.

„მთებში კი თოვს, — ამბობდა ისიდორე, — ცხრაჯვარსა და მთასაყდარზე თეთრად შეიფუმფლებოდნენ ტყეები“.

ქალაქში იქით ფერდობია. ფერდობი ჩაის პლანტაციებით არის დაფარული. ოდის წინ, საიდანაც პატარა დახრამული გზა სოფლის ცენტრისაკენ მიიკლაკნება, ეკლესიითა და ბუჩქნართ დაცხავებული ტაფობია.

„ჩვენი სახლი თითქოს კუნძულია, — ფიქრობდა ბერიკაცი, — დგას შემალულებულზე. მთავარ გზას ერთი პატარა შუკა აკავშირებს. და ის შუკა რომ არა, ქვეყანა განზე დარჩებოდა“.

წვიმის დაწყებამდე სეტყვისა და ხურმის ხეებს კიდევ შერჩენოდათ ფოთლები. მერე ფოთლები წვიმას ჩამოჰყვა მიწაზე, ჩაეფანგა, ჩახურდა, მოკვდა და წვიმამაც მაგრად მიაკრა მიწას.

ამანაც დაამწუხრა ბერიკაცი.

ფოთლებს ამიერიდან აღარ ეწერათ პირველი და უკანასკნელი ელვარებით გადაქროლათ ცაზე, იმიტომ რომ ქარი მიმქრალიყო, დაღლილ-დაქანცულს სადღაც თმაშევერცხლილ თხემებთან თუ ეძინა.

ოდის გვერდით ბაღჩაა.

ბაღჩის ბოლოს, სადაც ასკილისა და ტრიფოლიატის ბუჩქებია ერთმანეთში ჩახლართული, შაშვი ზის...

ბერიკაცი ვერ ხედავს შაშვს.

ჭახჭახი ესმის მხოლოდ.

ცოტა ხნის შემდეგ სამზადის კარმაც გაიჭრიალა.

„ბიჭი იქნება, — გაუელვა ისიდორეს, — ისე უჩუმრად გავიდა, ნაღდად შაშვს ეპარება“.

გატრუნული ზის.

თოფის გავარდნას ელის.

მაგრამ არა და არ ვარდება.

და ისიდორეს გაახსენდა: სწორედ იმ ადგილას, სადაც შაშვი ჭახჭახებს, ახლა ღრმა ორმო იყო. იმ ორმოში იჯდა იგი. ხელში „ბერდენკა“ ეჭირა და მთელი გულისყური ხეობისაკენ ჰქონდა...

ჰე, რა დრო იყო მაშინ, რა დრო...

ბერიკაცის გონება განათდა, განათდა მიდამოც, ასხივფერადდა და მწვანით შეიმოსა ყვილაფერი, რადგან იმ წელს, როცა ყაჩაღები დაესხნენ სოჩხეთს, მარიამობისთვე იყო და სოფელი ღამისსათევად, სალხინოდ ემზადებოდა.

მაგრამ სოფელმა იმარჯვა. ფარხმალი დააყრევინა იმ მშვინიერი ზაფხულის სიმყუდროვის დამრღვევთ.

ამ არეულობის დროს რომელიღაც ყაჩაღი სარს წამოსდებოდა და შარვლის კარგა დიდი ნაგლეჯი დამარცხებული ჯარის დროშასავით შეუტოვებია ზედ.

ამის გახსენებამ ბერიკაცი გაახალისა. წელში გაიმართა. წვრილ თვალებში ნაპერწკლებმა გაუციცქნა. ერთ-ორ საათს წასთვლიმა. როცა ძილ-ბურანიდან გამოვიდა, ქარი საწვიმარ მიღს აბრახუნებდა და კრამიტით გადახურულ სახურავს აძრობას ემუქრებოდა.

ფანჯრიდან გადაიხედა. მეზობლის ოდას მოჰკრა თვალი. გზის მეორე მხარეს უზარმაზარი მორები ეყარა. „აღბათ მათი წაღება და გადმოშვება ვერ მოასწრეს სახერხი ქარხნის მუშებმა“, — გაუელვა.

ჰაი, როგორ გაიზარდა სოფელი, — გაუელვა ისევ. — ჩვენს სახლს ზევით წინათ ერთი მოსახლე იყო, ახლა კი... — ეზო ეზოზეა მიჯრილი, თანაც ხალხმა გემო გაუგო ცხოვრებას, წვრილედან ამოვიდა. ოჯახი არ არის, რომ წელიწადში ოთხი-ხუთი ათასი მანეთი არ შემოუვიდეს.

მერე რა ოდა სახლები წამოჭიმეს სოჩხეთელებმა! შეხედაც, თვალს გაუხარდება. როდის იყო, სურათი რომ გადაუღეს? ჰო, კორესპონდენტები რომ ამოვიდნენ თბილისიდან.

მაშინ კორესპონდენტები გიორგი კუბლაშვილმა ამოიყვანა მანქანით. შენზე წიგნი უნდა დაწერონო, — უთხრა.

რა უნდა დაწერონ მაინც?

სკოლაში ორი კლასის მეტი რომ არ უსწავლია და ისიც დიდი ვაი-ვაგლახით რომ დაამთავრა?

ამაზე გაეცინა ისიდორეს.

გაახსენდა ბავშვობა, იქ, შორს, გონების კუნჭულში, რაღაც საცოდავად რომ იყო მიჭუჭყული. გაახსენდა სოფლის ვიწრო, ატაკლაბეული გზა და დახეული, ძირგავარდნილი ქალამნები.

ისეთი დრო იყო, კალოშის ნაკვალევს რომ ნახავდნენ სადმე, შეფარული ნაღვლით ამბობდნენ, ვიღაც დიდ კაცს გაუვლიაო. და იცით რატომ ამბობდნენ ასე? იმიტომ რომ, კალოში იშვიათი და სანატრელი, ხელმიუწვდომელი რამ იყო. შემოდგომასა და ზაფხულში იოლად გადიოდნენ. მაგრამ გუბებს რომ მოჰყინავდა, მერე უნდა გენახათ ბალღების ცოდვა: სკოლიდან დაბრუნებულ ბალღებს ფეხს თბილ წყალში დააბანინებდნენ თუ არა, მათი ღრიალი და მოთქმა მთელს სოფელს ესმოდა.

სკოლაც შორს იყო. ხუთ-ექვს კილომეტრზე, გურნაში.

ახლა?

ახლა ორასზე მეტი ბავშვი სწავლობს სოჩხეთის სკოლაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი მაინც არ ისვენებს, უფრო კარგი შენობა უნდა, უფრო კეთილმოწყობილი.

აი დაიწყეს კიდეც ახალი საშუალო სკოლის მშენებლობა.

* * *

ახლა აგერ მეოთხე დღეა ეზოში არ დაუდგამს ფეხი.

„ავად ხომ არა ხარ?“ — ეკითხება ვაჟიშვილი.

„რა გამხდის ავად?“ — თავს აქნევს ისიდორე.

მას აღარ უნდა გაიხედოს ეზოსაკენ, ეზოს ბოლოსაკენ, სადაც ბებერი კაკლის ხე ჩახრაგულა...

„ვიდრე მოთოვდეს, აჩეხე, ბიჭო, ე კაკალი!“ — უთხრა შვილს თანოსიამ. — სანდომიანი სახის დედაბერმა, რომელიც თავისი სიხუსტის დაფარვას წინ დაბჯენილი ჯოხით ცდილობს.

თანოსია ისიდორეს ცოლია.

„ჰა, ნახე, როგორ გაიმეტა... — ბუზღუნებს ისიდორე; — ჩემი ხე... ჩემი კბილა... ჩემი კაკალი.

მაგრამ ბიჭს არ მოუძებნია ნაჯახი.

„იყოს, — თქვა მერე, — ასე უფრო კარგად გამოხმება“.

ბერიკაცი ცეცხლს დაჰყურებდა. იგი არც სამზადში გასულა, სადაც ქალები ფუსფუსებდნენ. იქიდან ახალგამომცხვარი პურის სურნელი მოდიოდა. ბერიკაცს შიოდა. მაგრამ გაბრაზებული იყო და გაიფიქრა:

„მაგათი გამომცხვარი არ იჭმება. ამ ოხერმა გაზმა მთლად გადარია ქალები. კაცი სოფელში ცხოვრობდე და კიცხე გამომცხვარი ჭადი გენატრებოდეს, სირცხვილი არ არის?“

მაგრამ იმ დღეს, როცა ბიჭმა მოულოდნელად მოიყვანა სტუმრები და ჭალ-რძალმა თვალის დახამხამებაში გააწყვეს სუფრა და ცხელ-ცხელი გაპიწკინებულ საჭაპურებს მალ-მალე დებდნენ ლანგარზე, ეამა. დაბერდა.

თვალი აღარ უჭრის, და როცა გაზეთებს მოიტანს ფოსტალიონი შოთა შარვაძე, ბადიშს დაისვამს და აკითხებს. ამით ქვეყანას ელაპარაკება და ვრცელი ქვეყანაც არ იზარებს ბერიკაცთან საუბარს.

(დასასრული მე-7 გვ.).

თუ ეწვევით საქართველოს

ახალ ათონში მწყობრში ჩადგა ტურისტული ბაზის 280-ადგილიანი ხუთსართულიანი საძილე კორპუსი. კორპუსის საექსპლოატაციო გადაცემის შემდეგ ახალი ათონის ტურისტული ბაზა ერთიორად გაზრდის ტურისტთა მიღებას. აქ მიმდინარეობს კიდევ ერთი ახალი კორპუსის, კლუბ-სააადილოს მშენებლობა.

1969 წლის წინ რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ტურისტული ახალშენებანი. ეს არის საცურაო აუზი და კაფეს შენობა დიდომში. კლუბი-სასადილო ბაკურიანში, საზაფხულო ესტრადა გაგრაში.

სასიამოვნო სიურპრიზი მოელის ტურისტებს, რომლებიც ზაფხულში იმოგზაურებენ კავკასიის უღელტეხილზე. მათ მიიღებენ „სამხრეთ ქლუხორის“ თავშესაფრისა და შიხრის ტურისტული ბაზის ახალ კაპიტალურ შენობებში.

მომდინარე წლის ზაფხულში ფართოდ გაუღებენ კარს მოგზაურებს ტურისტული ბაზები ქუთაისში რიონჰესის წყალსაცავთან, სოფელ ტბაში ბაკურიანის მახლობლად, ბაზალეთის ტბის ნაპირებზე.

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო პირველად შეუდგა ავტოტურისტული ბაზებისა და ავტოპროფილაქტორიუმების მშენებლობას. ასეთი ბაზების მშენებლობა დაიწყება სამტრედიის გზატკეცილზე ქუთაისის მახლობლად, მცხეთასა და ოჩამჩირეში. ისინი ერთდროულად მოემსახურებიან 700 ავტოტურისტს.

გაგრძელდება სამუშაოები ყაზბეგ-სამების მთის სამგზავრო ჰაერ-ბაგირის გზის ასაგებად, დაიწყება ასეთივე გზის მშენებლობა ფასანაურის ახალი ტურისტული ბაზიდან ხანდოს მთამდე, სადაც განზრახულია შეიქმნას სამთო-სათხილამურო სადგური. მნიშვნელოვანი სახსრებია გაღებული ქუთაისის მახლობლად სათაფლიის გამოქვაბულის კეთილმოსაწყობად და გვირაბების ასაგებად ელექტრომატარებლებისათვის ახალი ათონის ივერიის მღვიმეებში.

ქართველ და უნგრელ მედიკთა თანამეგობრობა

სიმპოზიუმი გაიმართება თბილისში

ამ წელსმ მეტია მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აქვთ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებს, ჰოსპიტალური თერაპიის კათედრასა და უნგრეთის მედიკებს. მეცნიერები რეგულარულად უგზავნიან ერთმანეთს თავიანთ შრომებს, აწარმოებენ ერთობლივ გამოკვლევებს. 1967 წელს კი თბილისში გაიმართა საქართველო-უნგრეთის პირველი სიმპოზიუმი, რომელზეც შეაჯამეს უნგრეთში მიღებული ახალი სამკურნალო პრეპარატების — გალიდორისა და ბიშპანის კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები. უნგრელ სპეციალისტთა თხოვნით ისინი საქართველოში გამოსცადეს.

ამ ცოტა ხნის წინათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაკოქიმიკოსებმა ითხოვეს მოეწყოს საქართველოში მეორე გაერთიანებული სიმპოზიუმი. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. სიმპოზიუმი გაიმართება თბილისში მიმდინარე წლის სექტემბერში.

ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ს. კობალაძემ ჩვენს კორესპონდენტს უამბო მომავალი სიმპოზიუმის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

— გულ-სისხლძარღვებისა და კუჭის პრეპარატების — გალიდორისა და ბიშპანის შემდეგ, რომელთა შესწავლა გრძელდება, დავიწყეთ დაკვირვება ახალი უნგრული წამლების — სანოტენზინის, სედუქსენის, მისკლერონისა და სხვათა სამკურნალო თვისებებზე. განხორციელდა მათი ღრმა კლინიკური, ელექტროფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევა. საბოლოო დასკვნის გაკეთება ჯერ ადრეა, მაგრამ წინასწარი შედეგები საიმედოა.

მაგალითად, სანოტენზინი და ეგიტ-739 უახლესი საშუალებებია ჰიპერტონიულ დაავადებ ე ბ თ ან ბრძოლაში. ისინი შედგება ისეთი ქიმიური შენაერთებისაგან, რომლებიც არ იძლევიან სხვა მავნე მოვლენებს. სედუქსენი ხელს უწყობს წნევის დაწევას, მას იყენებენ ცენტრალური და ვეგეტაციური ნერვული სისტემის დარღვევების დროს, აგრეთვე გულისა და სისხლძარღვების დაზიანებისა და წყლულოვანი ავადმყოფობის დროს. ეფექტიან შედეგებს იძლევა პენანგინის გამოყენება ინფარქტთან და მის შედეგებთან ბრძოლაში.

ჩვენი გამოკვლევების ყველა ეს და შემდგომი შედეგები მოხსენდება სიმპოზიუმს. მისი ძირითადი პრობლემებია ბრძოლა კორონარულ დაავადებასთან, ინფარქტთან, ჰიპერტონიასთან, ათეროსკლეროზთან. ეფიქრობთ, რომ თბილისის სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერები.

მინდა ვთქვა კიდევ ერთი პრეპარატის სამკურნალო თვისებებზე, რომლის შესახებაც აგრეთვე დიდი საუბარი გვექნება მეცნიერთა შეხვედრაზე. ეს არის ეიმოზინი — ეფექტიანი საშუალება გულის რიტმის მოსაწესრიგებლად. იგი მიღებულია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიისა და ქიმიათერაპიის ინსტიტუტში.

ახალი თარგმანები

უნგრელი პოეტები — ქართულ ენაზე

ლიტერატურულ-სამხატვრო ჟურნალ „პალოცფელდის“ უკანასკნელ ნომერში, რომელიც ბუდაპეშტში გამოდის, დაბეჭდილია პოეტ მორის ფოცხიშვილის „გზააბნეული შვილის დაბრუნება“, რომელიც თარგმნა ცნობილმა უნგრელმა პოეტმა კაროი იობადიმ. იგი იყო საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში, გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უნგრელმა პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, რომლებიც მას დაწერინა საბჭოთა ქვეყნის გაცნობამ.

თავის მხრივ მ. ფოცხიშვილმა მოამზადა თანამედროვე უნგრული ლიტერატურის წარმომადგენლების — კაროი იობადის, ანატოლ გიდაშის, ატილა იოჟეფის, ენდრე ადის, დოლა იუხასის, აბორ გარაის, დიულა იიშის ნაწარმოებთა თარგმანები. პოეტი თავის თარგმანებს ამზადებს ლიტერატურულ ალმანახ „ხომლისათვის“.

— შემთხვევით როდი მივმართე უნგრელ ლიტერატორთა შემოქმედებას, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს მ. ფოცხიშვილმა. — ეს ლექსები დაეხმარება ჩვენს მკითხველებს უფრო მეტად შეიყვარონ ახალი ცხოვრების მშენებელი მოძმე უნგრელი ხალხი. შევეცდები თარგმანში შევინარჩუნო უნგრელი პოეტების ლექსების გამომსახველობა და მუსიკალობა, მათი მოჭალაქეობრიობა.

ახალგაზრდა მწერლები — ბავშვებს

„აი ჩემი საჩუქარი“ — ასე უწოდა პოეტმა გ. ჭიჭინაძემ ლექსების ახალ კრებულს, რომელიც გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა. ეს ავტორის მეხუთე წიგნია, რომელიც ყველაზე ნორჩ მკითხველებს უძღვნა. პატარებს შეუყვარდათ მისი მხიარულებით, იუმორით, ხალისით აღსავსე, ადვილად დასამახსოვრებელი ლექსები. ამ წიგნში მკითხველები ბევრ საინტერესოს ნახავენ.

გ. ჭიჭინაძე ინტერესით აკვირდება ბავშვების ცხოვრებას. პოეტს იტაცებს მათი ცნობისმოყვარეობა, ყველაფრის ცოდნის სურვილი. თავის ნაწარმოებებში პოეტი გვიჩვენებს პატარა ადამიანის პირველ ნაბიჯებს ცხოვრებაში.

უკანასკნელ წლებში ქართულ საბავშვო ლიტერატურას შეემატნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები.

— ბევრი ცნობილი მწერალი, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელმა ნ. ჩაჩავამ, — წერს ბავშვებისათვის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალგაზრდების შემოქმედება, რომლებმაც მთლიანად უძღვნეს თავიანთი ქალამი ბავშვებს, მათს ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

ნორჩმა მკითხველებმა ამას წინათ მიიღეს გ. წერეთლის პირველი წიგნი „ჭიანჭველა და ჭინჭარი“. ავტორი კარგად იცნობს ქართულ ფოლკლორს და თავის შემოქმედებაში ემყარება ხალხური პოეზიის ინტონაციას. ბავშვებს განსაკუთრებით ახარებს გ. წერეთლის ზღაპრები, რომლებშიც ავტორი უბრალოდ და საინტერესოდ მოგვითხრობს ჩვენი დღევანდელი დღის სასწაულებზე.

მ. ბოლქვაძე წერს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. მისი მოთხრობები ხშირად იბეჭდება ჟურნალ „დილაში“. მწერალმა იცის ბავშვებთან გასაგებად, უშუალოდ საუბარი. ამას წინათ გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ეშმაკუნა იხვი“.

საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდა, ბავშვის პიროვნება, მისი ცხოვრების ატმოსფერო სკოლასა და ოჯახში — აი ახალგაზრდა პროზაიკოსის გ. ლაბაძის შემოქმედების თემა. მისი მოთხრობა „მაღალი ცა“ პრემირებულია „ნაკადულის“ კონკურსზე.

უკვე რამდენიმე წელია ახალგაზრდა პოეტის ნ. კერესელიძის ლექსები იბეჭდება საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში და მოიპოვა პატარა მკითხველების სიყვარული. მალე გამოვა მისი პირველი წიგნი „ია და ბაჭია“.

არაბულადაც წაიკითხავენ

იპო არაბეთს როსტევან..., მაგრამ დღემდე არაბულ სამყაროს საშუალება არ ჰქონია შობლიურ ენაზე წაეკითხა რუსთაველის ხელიხელსაგრძნები მარგალიტი.

რუსთაველი კი საერთაშორისო მოვლენაა.

გასული წლის დეკემბრის დილას სირიელი პოეტი ნიზარ ხალილი თვითმფრინავიდან თბილისის მიწაზე ფეხსა დგამს და მისალმების შემდეგ ღიმილით ამბობს: „რუსთაველი ნახევარზე მეტი არაბულად უკვე ვთარგმნე, სიტყვა შევასრულე!“

დიახ, მან სიტყვა შეასრულა.

ცნობილი სირიელი პოეტი და მთარგმნელი ნიზარ ხალილი პირველად საქართველოს 1966 წლის მაისში ეწვია. ამ შემთხვევაში ის იყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის სომხეთის საზოგადოების ტუმარი. მას როგორც არმენოლოგს, სომხური ლიტერატურის არაბულ ენაზე მთარგმნელს, აინტერესებდა თბილისის ის ადგილები, სადაც მოძმე სომეხი მწერლები და პოეტები მოღვაწეობდნენ, განსაკუთრებით კი საბათნოვა. მოძმე სომხეთის ტუმარი ბუნებრივად საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებრიობის სტუმარიც გახდა და ნიზარ ხალილი გაეცნო ჯერჯერობით მხოლოდ თბილისს. მაგრამ თბილისის მიწის სითბომ, ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრემ, აგრეთვე ძველი არაბული და ქართული კულტურის ურთიერთობამ, რაზედაც აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ესაუბრა, ისე მოხიბლა სირიელი პოეტი, რომ კერძო საუბარში განაცხადა: ვეცდები რუსთაველი არაბულად ავამეტყველოო.

რა დასამალია, და არიან ისეთი ჯერის სტუმრებიც, რომლებიც მასპინძელთა საამებლად ბევრ ლამაზ ქართველურებს იტყვიან, შეპირებებიც მრავლად იციან, ხოლო დამშვიდობების შემდეგ ისინი თავიანთ ნათქვამ სიტყვებსაც ემშვიდობებიან.

ნიზარ ხალილი, რა თქმა უნდა, ასეთებს არ ეკუთვნის. მან თქვა და ასრულებს კიდეც.

მართალია, ნიზარ ხალილმა ქართული არ იცის, მაგრამ ეს ხელს არ უშლის „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად ამეტყველებაში. ამ შემთხვევაში მას ხელთა აქვს რუსთაველი ფრანგულად, ინგლისურად და სომხურად. სამ ენაზე ერთდროულად კითხვა და თარგმნა კი სინთეზირების საუკეთესო საშუალებაა. თავად ნიზარის სიტყვით — სწორედ სამ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა მას უფრო უადვილებს რუსთაველის აზრის ნათელ გაგებას, რადგანაც შესაძლებელია ერთ-ერთ ენაზე მთარგმნელს რაიმე ზუსტად არა ჰქონდეს გადათარგმნილი, ხოლო იგივე მასალა მეორეს უფრო გასაგებად ჰქონდეს. ასეთი შედარებების შედეგად მიღებული თარგმანი ორიგინალთან, რა თქმა უნდა, უფრო მიახლოებული გამოდის.

რაც შეეხება თარგმანზე მუშაობას, ნიზარ ხალილი ამ საქმეს სათუთად ეკიდება. მან კარგად იცის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უკვიდ მეორე ენაზე გალექსვა იოლი საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ მისთვის პოეზია სულიერი საზრდოა და არა რაიმე შემოსავლის წყარო. ამიტომაც ნიზარ ხალილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ორმაგ შრომას ეწევა. ის ჯერ პროზით თარგმნის.

ნიზარ ხალილის სიტყვით პოეზია ეს სიტყვათა სათუთი წყობაა, რომელიც არა მარტო ფორმით, არამედ ლამაზი სიტყვებით ნათელი აზრების გადმოცემაა. პოეტური თარგმანი კი თავისთავად ამ ორი წანამძღვრიდან ერთერთს დააკმაყოფილებს. ამიტომაც ყველა ლექსი აუცილებელია ითარგმნოს ჯერ პროზის სახით, რათა აზრი უცვლელად იქნას გადმოტანილი ერთი ენიდან მეორეზე, ხოლო შემდეგ უკვე გაილექსოს სათარგმნი ენის ნორმებით.

„ვეფხისტყაოსანი“ არაბულად პროზის სახით არ დარჩება. ნიზარ ხალილი როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ პროზაულად დაასრულებს, მისი გეგმით მაისში, ის კვლავ ეწვევა საქართველოს თავისი ნაშრომით. ამ შემთხვევაში მას სურს შეამოწმოს თავისი თარგმანი, რჩევა და კონსულტაციები ჰკითხოს აკადემიკოს გიორგი წერეთელს. მისი სიტყვით, გიორგი წერეთელი მას სწორედ შობლიურ ენაზე შეუსწორებს და ეს თარგმანის ხარისხს თავისთავად გაამდიდრებს. საქართველოს უფრო ახლოს გაეცნობა და სირიაში დაბრუნების შემდეგ ის უკვე დაიწყებს თავის პროზაული თარგმანის გალექსვას.

ნიზარ ხალილმა შეიყვარა ქართული პოეზია, მისი სიტყვებით რუსთაველი მაღალი თოვლიანი მწვერვალია, რომელიც ანკარა წყაროებით ჰკვებავს ქართული პროზის მდინარებას. ამიტომაც არაბული სამყაროსთვის მარტო ძველი ქართულის მარგალიტების გარდა საჭიროა ახალიც, და ეი მან უკვე თარგმნა და დაბეჭდა კიდევაც არაბულად ი. ნონეშვილისა და ა. კალანდაძის ლექსები. იგი ბარათაშვილსაც გაეცნო, მაგრამ ამის შესახებ რუსთაველის არაბულად სრულყოფის შემდეგ.

ნიზარ ხალილის გვჯერა, რადგანაც ის არა მარტო სულით პოეტია, არამედ სიტყვის კაციც არის და, რაც მთავარია, მისი სიყვარული რუსთაველისადმი უანგარო. ამის სათქმელად ისიც გამოდგება სამაგალითოდ, რომ მას სომხური ლიტერატურის არაბულად თარგნისათვის ყოველგვარ პონორარზე უარი აქვს ნათქვამი. ის თარგმნის ყოველგვარი სასყიდლისა და ბოგების მიუღებლად, რადგანაც სწამს ლექსის ძალა და, რაც მთავარია, დიდი სურვილი აქვს იცნობდეს რუსთაველის გენიას არაბული სამყარო.

პ. ნადირაძე.



იაპონიაში ეცნობიან საქართველოს

შეანასკნელ წლებში იაპონელი მკითხველი ფართოდ გაეცნო საქართველოს. პირველ რიგში ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართველი ერის დიდ მეგობარს იპეი ფუკუროს, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, იაპონელებს საქართველო გააცნო არა მარტო „ვეფხისტყაოსნით“ და მისი ეპოქით, არამედ დღევანდელი ცხოვრებითაც.

იპეი ფუკუური, ეს სათნო და უანგარო ადამიანი, რომელსაც მთელი გულით უყვარს კავკასიის ჰაეარა მთები და საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, თავისი მოხუცებულობის წლებს ჩვენი ერის იაპონელებისათვის გაცნობასა და მეგობრობას ანდომებს.

განა მარტო ის ფაქტი არ არის საკმარისი, რომ მან „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა და რამდენჯერმე გამოსცა იაპონიაში. ის ამასაც არ დასჯერდა და ქართული ლეგენდები და ზღაპრები იაპონიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი შეატანინა. თანამედროვე ქართველი მწერლებიდან იაპონელები იცნობენ ქართველ პოეტებს, ხოლო ერთი წლის წინათ გამოსული ნ. დუმბაძის ნაწარმოებით „მე ვხედავ მზეს“ ქართულ პროზასაც გაეცნენ.

აღსანიშნავია, რომ იპეი ფუკუური იაპონელებისათვის მარტო ქართული ლიტერატურის გაცნობით კი არ კმაყოფილდება, არამედ იგი იაპონური გაზეთებისა და ჟურნალების მეოხებით მრავალი წერილითა და ნარკვევით იაპონელებს აცნობს ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს. იაპონიის ტელევიზიასა და რადიოს მრავალჯერ გადაუცია საქართველოსადმი მიძღვნილი პროგრამები, ხოლო ქართული ხალხური მუსიკა, რომლის ჩანაწერები მან საქართველოდან წაიღო, იაპონელი მსმენელისათვის სასიამოვნო სასმენია რადიოს მეშვეობით.

საქართველოს და განსაკუთრებით კი მისი მთიანეთის სიყვარულმა ამ ჭარმაგ კაცს სამი წლის წინ „იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა მეგობრობის კლუბიც“ კი ჩამოაყალიბებინა და თავისი დაუღალავი მონდომებით გააკეთა ის, რომ ქართველმა მთამსვლელებმა იაპონიის მწვერვალები დაიპყრეს, ხოლო იაპონელმა მთამსვლელებმა კი ჭაღარა კავკასიონი.

ეს იყო 1966 წელს.

და აი ზუსტად წელიწადნახევრის შემდეგ, 1968 წლის თებერვალში, უკვე იაპონიაში გამოვიდა სქელტანიანი, 265-გვერდიანი წიგნი „კავკასიონის მთები მოგზაურის ჩანაწერებში“ (იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა მეგობრობის კლუბის დელეგაციის შთაბეჭდილებები).

წიგნის რედაქტორია თვით იპეი ფუკუური (ის ხსენებული კლუბის თავმჯდომარეა). გამოცემულია ტოკიოში გამომცემელ აკანო სიაბოს მიერ და ღირს 850 იენი. წიგნი შედგება 21 თავისაგან. შესავალი, ქართველი ალპინისტები იაპონიაში და დიდი კავკასიონის შესახებ დაწერილია თვით იპეი ფუკუროს მიერ, ხოლო დანარჩენი თავები დაწერეს იმ იაპონელმა ალპინისტებმა, რომლებმაც საქართველო მოინახულეს.

გარდა წმინდა ალპინისტური ჩანაწერებისა და გზებისა ტოკიოდან თბილისამდე აქ მთელი თავები ეძღვნება საქართველოს, თბილისს, ქუთაისს, სვანეთსა და საერთოდ ჩვენს ქვეყანასა და ცხოვრებას. იაპონელები ქებადიდებით მოიხსენიებენ მთელი ჩვენი ქვეყნის ბუნების სილამაზესა და ხალხის სტუმართმოყვარეობას, მაგრამ ერთ თავში გაუგებარ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. იაპონელებმა უშბის მწვერვალი ვერ დაძლიეს. აქ ვერც გაამტყუნებ, რადგან მასპინძლებმა მათი მცირე დროით ყოფნის გამო იაპონელების ასვლა მოუმზადებლად ჩასთვალეს. ეს, რა თქმა უნდა, ნაკლად დარჩათ მეგობრებს და მთელი თავიც კი დაწერეს: „გაუგებარია, რატომ არის ჩაკეტილი ჩვენთვის უშბისაკენ მიმავალი გზა“. აქ იაპონელები სწუხან, რომ ამაყი უშბა, ეს მსოფლიო მნიშვნელობის მწვერვალი თავისი სირთულის გამო იაპონელ ალპინისტთა ფეხქვეშ ვერ მოექცა. რას იზამ, მთამსვლელობას თავისი კანონები აქვს და მასპინძლებმაც ამ კანონს ვერ უღალატეს.

საინტერესოა ისიც, რომ თითქმის ყველა იაპონელი მთამსვლელი სწავლობდა ქართულ ენას და წერა-კითხვას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მთამსვლელების მეოხებით ყველამ ძალზე ადვილად ისწავლა ქართულად თავიანთი სახელების წერა (ჩვენი ალპინისტები კი იაპონურ იეროგლიფებს ახლოც კი ვერ გაკარნენ) და მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამადლობელი დეპეშა ქართულ ენაზე გამოგზავნეს. ხსენებულ წიგნში მათ ერთ თავს ასეც უწოდეს „მშვიდობით, უშბა, სვანეთო“ (ეს წერია ქართული სიტყვებით იაპონური იეროგლიფებით).

წიგნი მდიდრად არის დასურათებული როგორც ფერადი, ისე შავ-თეთრი ფოტოებით. წიგნს წამძღვარებული აქვს საქართველოს რუკა. წიგნში არა მარტო საქართველოში გადაღებული სურათებია დაბეჭდილი, არამედ ქართველი ალპინისტების ყოფნაც იაპონიაში.

როგორც იპეი ფუკუროს ბოლო წერილიდან ირკვევა, წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია იაპონიაში, მთლიანად გაიყიდა და უამრავი მსურველი აღმოჩნდა კავკასიის მთების ნახვისა.

წიგნი უაღრესად საინტერესოა, და კარგი იქნებოდა, თუ ის ქართველი მკითხველისთვისაც იქნებოდა ხელმისაწვდომი. ამის საშუალება კი საქართველოში მოგვეპოვება.

მადლისმქმნელ კაცზე კარგი სიტყვის თქმა და წერა ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს და უფრო მაშინ, როდესაც იგი საქართველოდან რამდენიმე ათასი კილომეტრით არის დაცილებული, ხოლო მისი თბილი გულის შეგრძნებას ეს კილომეტრები ხელს არ უშლიან.

ასეთი კაცია სწორედ ჩვენი ერის მოყვასი იპეი ფუკუური.

ნოდარ კოჭლაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა
* თბილისი *

იოსებ მეგრელიძე

დიდი მეცნიერი, მამულიშვილი

იგი შედგება ორი ნაწილისაგან. ნაწილი პირველი, მასალები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ალ. ბარამიძემ" (გვ. 6-174), — შეიცავს ე. თაყაიშვილის ნაშრომებს ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ, უმთავრესად ამოკრებილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აღწერილობათა წიგნებიდან. ნაწილი კი ჟურნალ-გაზეთებში იყო გამოქვეყნებული.

პუბლიკაციას წამძღვარებული აქვს ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე გიორგის-ძე ბარამიძის წინასიტყვაობა „ექვთიმე თაყაიშვილი — ქართული მწერლობის მკვლევარი" (გვ. 7-15).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ორი ტომი; თავის დროზე ნ. მარმა აღნიშნა და ახლა ალ. ბარამიძე კიდევ უფრო ვრცლად წერს, რომ „ე. თაყაიშვილის" აღწერილობა" ნამდვილად სცილდება აღწერილობათა ჩვეულებრივ ფარგლებს. ზოგიერთი „აღწერილობა" სწორედ რომ დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს, მთლიანად კი იგი ნამდვილი მეგზური და წინამძღვარია ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული ყველა პირისათვის. ე. თაყაიშვილის „აღწერილობის" გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართული მწერლობის სამეცნიერო კურსის შექმნა, რასაც აღნიშნავს კიდეც კ. კეკელიძე" (გვ. 9).

გამართლდა ე. თაყაიშვილის მიერ წინასწარ გამოთქმული მოსაზრება, რომ „ბარამგურიანი" სპარსულიდან არ არის თარგმნილი, იგი „ვეფხისტყაოსნის" იმიტაციაა და მისი ავტორი არის ონანა მდივანი.

ე. თაყაიშვილმა დაახასიათა „შაჰნამეს" ქართული ვერსიების ციკლი — „როსტომიანი", „გამოაქვეყნა რიგი სრულიად ახალი ცნობები მასზე" და გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა ამ ძეგლზე; გამოავლინა „იოსებ ზილიხანიანი" და „დამარწმუნებლად გაარკვია მისი ადრინდელობა „თეიმურაზისეულ ვერსიასთან შედარებით" (ალ. ბარამიძე), შეისწავლა „რუსუდანიანის", „ქილილა და დამანას" და ზოგიერთ სხვა ნაწარმოებთა ტექსტები. ერთმანეთს შეადარა „ბარამგურიანი" და „ბარამგულიჯანიანი" და დაადგინა, რომ მათი პროზაული („ბარამიანი") და გალექსილი („ბარამგულიჯანიანი") ვერსიები სხვადასხვა ნაწარმოებებია; მანვე აღწერა „არჩილიანი"...

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ე. თაყაიშვილმა „ხელმწიფის კარის გარიგების" ტექსტის აღმოჩენითა და შესწავლით დაამტკიცა, რომ „როს ნაჭარმაგევს მეფენი"... შაირის ავტორია არსენ იყალთოელი. ჩვენმა მეცნიერმა არა ერთი სხვა საკითხიც გაარკვია და მთელ რიგ მათგანზე ახალი სიტყვა თქვა.

ალ. ბარამიძეს აქვს საფუძველი, როცა წერს: „თავისი გამოცემებით ე. თაყაიშვილი უპასუხებდა დროის მოთხოვნილებებს, მეცნიერებაში აღძრულ საჭირბოროტო საკითხებს".

„თამამად შეიძლება ითქვას, — დაასკვნის ალ. ბარამიძე, — რომ ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებს ძველი ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე არ დაუკარგავთ თავინათი მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა არც ზოგად ისტორიულ-კულტურული და არც პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით" (გვ. 14).

ჩვენი მეცნიერის ძირითადი სპეციალობის — საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისა და შემდეგ ქართული მწერლობისა და მთლიანად ქართული კულტურის წინაშე დიდი დამსახურების უკვდავი გვირგვინია ის ღვაწლი, რომელიც ე. თაყაიშვილს მიუძღვის იმ უმნიშვნელოვანესი სიძველეების დაცვასა და უკან დაბრუნების საქმეში, რომლებიც 1921 წელს პარიზში იქნა გატანილი.

ამ საკითხში სანდოა მხოლოდ ე. თაყაიშვილის შემდეგი სიტყვები: „მე იძულებული გავხდი საფრანგეთში წავსულიყავი ჩვენი მუზეუმების განძეულობის დასაცავად, რომელიც მეწმევიკებმა წაიღეს საფრანგეთში და იქ დავრჩი აპრილის დამლევამდის 1945 წლისა".

ავტორი შენიშნავს: აღარ ვჩერდები მასზე, „თუ რა დავიდარაბა გადამწყდა ოცდახუთი წლის განმავლობაში, რათა გადამერჩინა ჩვენი განძეულობა გაყიდვისაგან" ან „გერმანელების ცდისაგან, რომ ხელში ჩაეგდოთ ეს განძეულობა და სხვა. ეს ვრცელი ისტორიაა"...

ამ განძეულობის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე ე. თაყაიშვილი ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში აწარმოებდა მიწერ-მოწერას საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან ქართველი მეცნიერების საშუალებით...

დაბოლოს, — წერს თვით ე. თაყაიშვილი, — ჩვენი განძეულობის სამშობლოში დაბრუნების საშუალება მოგვცა საბჭოეთის „უმაგალითო გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიაზე", საბჭოთა მთავრობის საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმებამ.

1921 წლის 20-21 თებერვალს სიძველეები ე. თაყაიშვილის თანხლებით გავიდა თბილისიდან.

მარსელის ბანკს ჩაბარდა ისტორიულ უძვირფასეს ნივთებიანი 39 ყუთი, რომლის შენახვისათვის ბანკი წელიწადში 2500 ფრანკს თხოულობდა (გადახდილ იქნა მხოლოდ ერთი წლის თანხა).

სხვა ყუთები ჩაბარდა პარიზის „გარდ-მუბლ"-ში. შემდეგ სხვადასხვა დროს ბევრი ყუთი უკანვე დაბრუნდა საქართველოში, არაისტორიულ ზოგ ნივთსაც თავისი გზა აღმოუჩნდა, ხოლო მარსელის ბანკში დაცული 39 ყუთი 1934 წლის 8 მაისს შესანახად გადაეცა დოჟონს, რომელსაც ებარა აგრეთვე რუსეთიდან გატანილი ისტორიული სიძველეები... საქართველოს სიძველეებს მზრუნველობდა ისევ ე. თაყაიშვილი, რომელიც წერს: „1935 წლის 5 მაისს ჟორდანიას მთავრობისადმი... (წარდგენილი განცხადების პასუხად)... მეცნობა მთავრობის დადგენილება, რომ უფლება მაქვს მივიღო ის ზომები, რომლებსაც საჭიროდ დავინახავ".

ექვთიმე თაყაიშვილს უთქვამს ჩვენთვის: „გერმანელების მიერ საფრანგეთის აღების შემდეგ მუდმივი ტერორისა და შიშის ქვეშ ვიყავი, აღარც საარსებო საშუალება მქონდა. ასეთი გაჭირვების დროსაც კი არამცთუ სახელმწიფო ნივთი, რომელსაც ვეღარც მივიღებდი სეიფიდან, არამედ ჩემი საკუთარი ისტორიული ნივთებიც არ გამიყიდია, თუმცა მქონდა ისეთი ნუმიზმატიკური ერთეულები, რომ შეიძლებოდა გავმდიდრებულიყავი...

დაწყევლილი მყავდა, განავრძობდა ექვთიმე, ყოველი ის ქართველი, რომელიც ისტორიულ ნივთს სამშობლოს დაუკარგავდა. გამოცხადებული მქონდა, რომ ასეთი ნივთი ჩემთან უნდა მოეტანათ, და თუ ვერ შევიძენდით, მფლობელს მხოლოდ შემდეგ შეეძლო მისი უცხოელზე გაყიდვაო...

და მართლაც, ე. თაყაიშვილმა ემიგრანტებისგანაც ბევრი შეჰმატა პარიზში გატანილ სახელმწიფო განძეულობას, ყველა ესა და საკუთარი ისტორიული ნივთებიც თბილისში ჩამოიტანა და ჩვენს მუზეუმებს ჩააბარა.

ყოველი ამის გამო გასაგებია ე. თაყაიშვილის შემდეგი შენიშვნაც: სიმართლეს არ შეეფერება ერთ დროს პრესაში აღნიშნული ცნობა „თითქოს მეწმევიკებმა აიძულეს ე. თაყაიშვილი განძეულობის ყუთები გაეხსნა და ნივთები გაეყიდესო. ეს ვერც მათ და ვერც სხვამ ვერ მოახერხეს" (ციტ. I ტ. გვ. 409).

ე. თაყაიშვილი წერს: ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. საფრანგეთის მაშინდელი გამგებელი გენერალი დეგოლი სსრ კავშირის საფრანგეთში წარმომადგენელ „ბოგომოლოვთან ერთად უნდა გაფრენილიყო მოსკოვში ზავის შესაკვრელად". ვისარგებლე ამ გარემოებით, ამბობს ექვთიმე, — და „ვუთხარი ბოგომოლოვს, მანამ გაფრინდებოდეთ, დე-გოლს უნდა ვთხოვოთ (საქართველოს — ი. მ.) განძეულობა დაგვიბრუნოს-მეთქი"...

ბოგომოლოვს უპასუხნია: „მაგ საქმისა მე არაფერი ვიცი და კარგი იქნება, თუ თქვენ შეადგენთ მოსსენებას, მე კი ხელს მოვაწერინებ დე-გოლსაო". მართლაც, დასძენს ე. თაყაიშვილი, დავწერე მოსსენება, რომელშიც „განმარტებული იყო საქმის გარემოება. იმ განცხადებას, დე-გოლმა წააწერა: „დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს".

თურმე, ი. სტალინს ჰქონდა დე-გოლისათვის ნათქვამი:

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა" № 1, 1969 წ.

ახალი წიგნების თარო

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

გამოვიდა პირველი ორი ტომი სერიისა „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები", რომელსაც გამომცემლობა **„ნაკადული"** უშვებს ორმოც ტომად. პირველ ტომში შევიდა რუსული ხალხური ზღაპრები, რომელთა მეტი ნაწილი აღებულია პ. აფანასიევის კლასიკური კრებულიდან და შევსებულია სხვა ცნობილი გამოცემებით. წიგნში წარმოდგენილია რუსული ფოლკლორის ყველა ძირითადი ჟანრი. ამ გამოცემაში მკითხველი კვლავ შეხვდება ილია მურომეცის, მზეთუნახავ ვასილისას, სულელ ივანუშკას, ბრძენ ელენეს, თოვლიასა და სხვა ზღაპრულ პერსონაჟებს. სულ წიგნში 70 ზღაპარია.

თარგმანზე მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები კ. ლორთქიფანიძე, მ. ლებანიძე და სხვები.

58 ლატვიური ზღაპარი შევიდა ამ სერიის მეორე ტომში. აქ წარმოდგენილია ლატვიური ხალხური შემოქმედების სამი ჯგუფი: ზღაპრები ცხოველთა შესახებ, ჯადოქრული და საყოფაცხოვრებო ზღაპრები. ისინი მოგვითხრობენ სიკეთესა და ბოროტებაზე, ადამიანთა მოსაზრებულობაზე, შრომისმოყვარეობასა და მეგობრობაზე. ზღაპრები ქართულ ენაზე თარგმნა მ. სამუკაშვილმა.

ქართველი მკითხველები პირველად როდი ეცნობიან ლატვიურ ფოლკლორს. მისი ცალკეული ნიმუშები ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში, ხოლო ლატვიური ზღაპრების პირველი კრებული გამოვიდა 1951 წელს.

წელს გამოვა ამ სერიის კიდევ ოთხი ტომი — ქართული, აფხაზური, გერმანული და იტალიური ზღაპრები.



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მაყურებელმა ნახა ვერდის ოპერა „აიდას" ახალი დადგმა. სურათზე: სცენა სპექტაკლიდან: აიდა — ლ. კვირიკაძე, ამონასრო — პ. ამირანაშვილი.

მე, არა როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელი, არამედ როგორც მეგობარი მეგობარს გთხოვთ, თქვენთან ქართველი ხალხის ისტორიული ნივთები ინახება და დაუბრუნეთ ისინი თავიანთ პატრონებსო. აი, ამ წინასწარმა შუამდგომლობამ დააჩქარა ეს საქმეო, — დასძენდა ექვთიმე.

შემდეგ, ამბობს ისევ ე. თაყაიშვილი, ხსენებული „ვანკარგულების მიღება ბოგომოლოვმა მოგვანდო თავის თანაშემწესა და კონსულს საფრანგეთში ა. გუზოვსკის და მე. გუზოვსკიმ ის ქაღალდი მეორე დღესვე წარუდგინა დოჟონს, რომელსაც განძეულობა ებარა. დოჟონს არ იამა ასეთი რამ და განუცხადა: ეს მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს და არა დე-გოლმაო. ამაზე გუზოვსკიმ უთხრა: თუ ეგ საქმე სვალამდის არ გადაგიჭრიათ, ტელეგრამას გავუგზავნი დე-გოლს და ვაცნობებ, რომ მის განკარგულებას არ ასრულებთო. დოჟონს მეტი გზა აღარ ჰქონდა და დაგვთანხმა ქონების ჩაბარებას, რამაც ერთ კვირას გასტანა. უკლებლივ მივიღეთ კარგად დაცული ჩვენი განძეულობა, ერთი ქინძისთავიც არ დაგვკარგვიაო" (ე. თაყაიშვილი, ციტ. I ტომი, გვ. 1885).

ნივთების უკლებლივ მიღებაზე ექვთიმე კვლავ წერს: გამოჩნდა საქმოსანი ვ..., რომელიც 50.000 ფრანკს მოითხოვდა, თითქოსდა, ნივთების შენახვაზე დახარჯულიყო, მაგრამ ჩამოვიცილეთ. გადმობარებისასო, განაგრძობს ექვთიმე, მთელი ჩვენი ქონება, — განძეულობა „კარგად დაცული და მთლიანი აღმოჩნდა, ერთი ნემსიც არ დაგვკლებია. შეგუდექი ნივთების ჩალაგებას ყუთებში საქართველოში წამოსაღებად. 25 ყუთი გავამზადე, მაგრამ შემდეგ ავად გავხდი და ნივთების ჩალაგება შეწყდა. ამასობაში პარიზს ჩამოვიდნენ საქართველოდან გამოგზავნილი, მათ შორის პროფ. შ. ამირანაშვილი... მან მოათავა ჩემი დაწყებული საქმე — განძეულობის ჩალაგება ყუთებში" (14 ყუთისა, იხ. იქვე, გვ. 413)...

შემდეგ ვითარებაზე მოკლედ ვილაპარაკებთ.

მოსკოვიდან პარიზში ჩაფრენილ ორ ამერიკულ თვითმფრინავზე მოთავსდა მთელი ჩვენი განძეულობა.

თბილისიდან პარიზში გატანილი ქართული სამუზეუმო ნივთების სია ჯერ კიდევ 1931 წლის 22 თებერვლის № 45 გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა. იმავე ნივთების სრული სია-აღწერილობა პარიზშივე იყო: განძეულობასთან სეიფში, ყოფილი მთავრობის საქმეებში (ნივთების რწმუნებულად, ე. თაყაიშვილს გარდა, ნიკოლოზ ჯაყელი და ბენია ჩხიკვიშვილიც იყვნენ) და ცალკე ე. თაყაიშვილთან არსებობდა. ამავე სია-აღწერილობით ხელმძღვანელობდნენ პარიზში ნივთების გადმობარებისა და მათი თბილისში მუზეუმისათვის გადაბარებისას. თბილისში კიდევ უფრო ვრცელი სია შედგა. (იგი, როგორც ეს ე. თაყაიშვილმაც თქვა, არასწორად შეტანილია „სიმონ ჯანაშიას ნაშრომების ბიბლიოგრაფიაში" ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ. იხ. კრებული „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია", თბილისი, 1949, გვ. 249).

ქართული ზემოხსენებული სამუზეუმო ნივთების გადარჩენის მთელი სახიფათო ისტორიის მთავარი და უბადლო გმირი, როგორც ეს აშკარად დავინახეთ, ე. ი. თაყაიშვილი ბრძანდება. ეს მისი ისეთი უდიდესი დამსახურებაა ჩვენი ერის, ჩვენი კულტურის წინაშე, რომ მას მეტიც რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა. და მან ხომ სხვაც ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა.

• • •

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ე. თაყაიშვილმა ჩვენს გამომცემლობას პარიზში შეჰმატა ნივთებიო.

საკითხავია: რომელი თანხებით?

ე. თაყაიშვილს უთქვამს ჩვენთვის: თუ რამ ჩემი გამაჩნდა, ამაზეც პირველ რიგში მას ვხარჯავდი. ზოგიერთი თანამემამულეც მშვილოდა შემოწირულებით, მაგრამ მთავარი მაინც იმ თანხის ნაწილი იყო, რომელიც ერთ დროს საქართველოს სახელმწიფო ვალში თუ ემიგრაციისადმი დახმარებად მიიღო ნ. ჟორდანიამ პოლონეთის მთავრობისაგანო.

ხსენებული ფულის მიღების დროს, შენიშნავდა ე. თაყაიშვილი, ჟორდანია ამბობდა: ბევრი გაჭირვებულია ჩვენს ემიგრაციაში, ეს თანხა ასეთებს მოვახმაროთო.

მე კიო, დასძენდა ე. თაყაიშვილი, მოვითხოვდი, იმ თანხის ნახევარი მაინც უცხოეთში მოხვედრილი ქართული სიძველეების ქართველებისა და უცხოელებისაგან შეძენას მოხმარებოდაო. ზოგიერთ სხვა საკითხშიც უთანხმოების გარდა, ჟორდანია და მე ამ საკითხშიც ვერ შევთანხმდით და საქმეში სხვების ჩარევაც მომიხდა, თანხის თითქმის მესამედი მივიღე და ნივთების შეძენას მოვახმარეო.

რა შეიძინა ასეთი ე. თაყაიშვილმა, მათ შესახებაც თვითონვე წერს და ყოველი ნივთი რეგისტრირებულია.

როგორც ითქვა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერების ინსტიტუტშია ყველა მოთავსებული ე. თაყაიშვილის პირადი არქივი. აქ 27 ფონდის № 650 და № 651-ის სათაურად „ექვთიმე თაყაიშვილი. ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართულ სიძველეთა შესახებ".

ამ მოხსენებით გამოვიდა ე. თაყაიშვილი პირველად თბილისში 1946 წელს.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა პირველად რომ მშობლიურ მიწაზე დავდგი ფეხი, ცრემლი წამსკდა, დავიხარე და მიწას ვაკოცეო, — გვითხრა ექვთიმემ.

მოხსენება კი დაიწყო ასეთი შესავალი სიტყვით: ჩვენი დაუვიწყარი მგოსნის აკაკის სიტყვებით... აღსარების გარდა, ჩემზე გამოჭრილია.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემიყარეო!..."

დიახ, სნეული დავბრუნდი, მაგრამ მაინც ხომ დავბრუნდი და შევძელი ჩვენი ძვირფასი სამშობლოსათვის დამებრუნებინა გატანილი სამუზეუმო ქონება და ეს ქონება კიდევ მეტად გამემრავლებინა"...

მომხსენებელმა დაასახელა მოპოვებული ძვირფასი ნივთებიც.

იმის წარმოსადგენად, თუ ე. თაყაიშვილი საზღვარგარეთ ქართული სიძველეების რაოდენ მნიშვნელოვან შემკრებლობითს საქმიანობას ეწეოდა, ხსენებული ნივთებიც კმარა. ზოგი მათგანი ვერ შეიძინა და თბილისში ვერ ჩამოიტანა, მაგრამ მათზეც მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა. ჩამოტანილად დასახელებულთ გარდა, ე. თაყაიშვილმა სხვა ნივთებიც დაუბრუნა სამშობლოს; ზოგი მათგანი, როგორც ითქვა, პირად მის საკუთრებას წარმოადგენდა და ყველას მუზეუმში მიუჩინა ადგილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

წუთისოფელი

(დასასრული)

მართალია, ასოებს ვეღარ ხედავს, მაგრამ სურათებს კარგად არჩევს.

ახლაც მოწინავე ადამიანთა სურათს მოჰკრა თვალი.

თბილისში, მთავრობის სასახლის წინ გადაეღოთ მათთვის სურათი. ორი მწვრილავი და სამი ჩაის მკრეფავი იყო მათ შორის. დანარჩენები აკადემიკოსები და პროფესორები იყვნენ. „ჩემს სურათსაც, ალბათ, ასე მოათავსებენ, — გაუელვა, — მეც ხომ გადამიღეს სურათი". მაშინ კორესპონდენტი დაინტერესდა, კოლმეურნეობაში როდის შეხვედითო. „პირველივე დღიდან". — უპასუხა და გაიკვირვა, ეგ რა საკითხავია, სხვანაირად როგორ იქნებოდაო.

ახსოვს: კოლმეურნეობის მძღოლს, მარჯან შარავძეს კინაღამ ჩაუტყდა სკამი. ამაზე ბერიკაცმა იხუმრა:

— მაგ სკამს რომ რამე მოსვლოდა, სად მიდიოდი, თანხისას ნამზითვივ!

მარჯანს გაეცინა.

— ვითომ?

— აბაა?!. მე, გენაცვალე, სამოცი წლის წინათ ქალი რომ შევიყვარე, დღესაც მიყვარს... თქვენსავით კი არა ვარ, დილით რომ შეირთავთ და საღამოს შინ გამოუშვებთ... იიჰ, სულ წყალიხდათ ახლანდელ ახალგაზრდებს საქციელი...

კორესპონდენტებს გაეცინათ.

მერე ბერიკაცმა სანთლის არაყი გამოიტანა, თავისი ხელით გაავსო, ჭიქები. ასწია, სინათლეზე გაუხედა, დაილოცა, გადახუხა; უმალვე შეივსო.

— მაშ, ოთხმოც წელს მიატანეთ? — გაიკვირვა კორესპონდენტმა.

— გააჩნია, — თოვლივით თეთრ ლამაზ წვერზე გადაისვა ხელი. შუბლი მოუხინათლდა. — ჭალებს ვეუბნები სამოცდაათისაც არა ვარ-მეთქი, ისე კი მართლა მივატანე ოთხმოცს.

რაზე არ ილაპარაკეს მაშინ. ვინ არ გაიხსენეს. და უცებ:

— ეჰ, ვის ეგონა, რომ პენსიას დამინიშნავდნენ. — თქვა, — დიდი დამსახურება გაქვსო, ნამდვილი მშრომელი ხარო... ახლა თურმე იუბილეს იხდის ჩვენი ქვეყანა და ბაღნებისაგან მოსვენება აღარ მაქვს. ხან სად მეძახიან და ხან სად...

ამას კი ამბობს, მაგრამ თან სიამოვნებისაგან ცქმუტავს. ეტყობა, კმაყოფილია, რომ სოფლის პიონერები ასეთი პატივისცემით ეპყრობიან სოფლის უხუცეს კოლმეურნეს.

...გარეთ ქარი მატყლობდა. დაბნელებულიყო. ხეჭეჭურის ტოტზე ბეღურები მოკალათებულიყვნენ და ქარის ყოველ დაქროლვისას ფრთებს წამოშლიდნენ ხოლმე. გაღმა მხარეს შეფენილ სახლებში ბუხრები აბოლდა.

„სავახშმოდ სხდებიან. ვახშმობის დროსაც მოატანა", — გაუელვა ბერიკაცს და სამზადში გავიდა. ერთხანს იქ იტრიალა. რძლისა და ვაჟიშვილის საუბარს დაუგდო ყური.

ბიჭი — ტიტიკო კოლმეურნეობის კანტორაში ყოფილიყო და იქიდან ახალი ამბები მოეტანა. მომავალი წლიდან სოჩხეთი ციველის წყალს მიიღებსო. ამან გაახარა ისიდორე. ციველის წყალი უკვადა, გრილი და კამკამააო. სოფელს ძალიან უჭირს წყალი და სულს მოითქვამენო.

ბიჭმა ისიც თქვა, მთელი რიგი ცვლილებებია მოსალოდნელიო. გიორგი ვაჟკაცი ჯაცია. რაც ეგ დადგა თავმჯდომარედ, სოფელი ერთიანად დააყენა ფეხზე. გზები გაიყვანა. წინათ პლანტაციებში მოკრეფილ ფოთოლს ცხენს აჰკიდებდნენ — გოლრებითა და მომცრო ურმებით გამოჰქონდათ. ახლა კი მარტო ჩაის მკრეფავებს ექვსი სატვირთო მანქანა ემსახურება.

კიდევ ერთი გასაკვირველი ამბავი თქვა ბიჭმა.

სოჩხეთი უძველესი დროიდან არსებობსო. არა, ეს რა თქმა უნდა, არ გაკვირვებია ისიდორეს. უფრო სხვა რამემ გააკვირვა: სოფლის ბოლოს ნამარნი უბანი რომ არის, იქ გეოლოგიური პარტია გათხრებს აპირებსო. ეს გათხრები კი რაღა საჭირო იყო, ამას ვერაფრით ვერ მიხვდა ისიდორე.

სოფელი მართლაც დაცხვებულია უმშვენიერესი დროის საყდართა ნანგრევებითა და მიწაში ჩაფლული ჭურებით. ხან სად წააწყდებიან ამ ჭურებს და ხან სად.

ნოე შარვაძის მამამ კი ვერცხლის ფირფიტაც იპოვა, თიხის დამტვრეულ ქოთანში ჩადებული.

• • •

...საღამომ მშვიდად ჩაიარა. ოღონდ ეს იყო, დაწოლის წინ ბერიკაცს ისევ გაახსენდა კაკლის ხე და გული დაეთუთქა. ღამით ქარმა იმატა და ბერიკაცს აღარ დაეძინა. თუნუქის სახურავზე ხოშკაკალა ახმაურდა. ძახილი შემოესმა. შეკრთა. წამოიწია. წყვდიადს გაუსწორა თვალი.

კარგახანს იყო ასე.

მაგრამ ძახილი არ განმეორებულა.

ბერიკაცმა უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა და ცეცხლთან დაბრუნდა. ქარი წინანდებურად ქროდა. ქარის სისინში ტკბილად ჩაეძინა მოხუცს. მთა ესიზმრა.

ეს მისი ტოლი კაკლის ხე იდგა მთაზე.

კაკლის ხეს საოცრად ღურჯი ფერის ტოტები ჰქონდა და ტოტებს უქნევდა.

ბერიკაცმა ამოიხვნეშა და გაიღვიძა. ხე რაღამ დამსიზმრაო. იქნებ... და აღარ დაასრულა განაფიქრი. გაჟრჟოლა. ძალა წაერთო. გონება დაებინდა.

„ალბათ, ასე იციის იმ შეჩვენებულმა, — გაიფიქრა,—ჯერ ბურანში გაგხვევს, ძილს მოგანდომებს, მერე შეუმჩნევლად წაგიჭერს ხელს, სულს ამოგხდის".

აქ გაახსენდა, რომ დილით შვილიშვილს სათამაშო წისქვილის გამართვაზე უარი უთხრა, და ინანა.

თვალწინ დაუდგა შვილიშვილის მოცინარე სახე, ანთებული თვალები, გულზე მოეფინა. მალამოდ წაეცხო იმის ბდღვრიალა შუქნათელი.

„თუ დავწვები, გათავდა, ვეღარასოდეს ავდგები ალბათ," —გაიფიქრა.

მაგრამ მეტის გაძლება აღარ შეეძლო.

ტახტზე გაიშოტა და რამდენიმე ხანში ოთახი მისმა მშვიდმა ფშვინვამ აავსო.

იმ ღამეს არ მისულა მოხუცთან სიკვდილი. ბერიკაცი გაკვირვებული დარჩა. მაგრამ ლოდინი არც მეორე დღისათვის შეუწყვეტია.

მხოლოდ ეს იყო, ადრიანად აიპარა, უხმო შვილიშვილს და სათამაშო წისქვილი გაუმართა, საწყენად არ დარჩესო.

მეხუთე დღესაც შინ იჯდა, მეექვსესაც...

განჯინაში არაყი გამოილია და ბერიკაცს ლოდინიც მობეზრდა...

აივანს მიადგა.

ცოლმა უთხრა:

— „გუშინ გიორგიმ გიკითხა, თუ შეუძლია, მინახულოს, საქმე მაქვსო".

სიტყვა „თუ შეუძლია" არ ესიამოვნა ისიდორეს. მაგრამ არაფერი თქვა.

ტიტიკომ უთხრა:

— ჩვენმა აგრონომმა სულიკომ მოკითხვა შემოგითვალა. ბავშვი ფარმაცევტულ ტექნიკუმში მოეწყო, პატარა კამპანია მაქვს და მეწვიეთო. ჰო, ჰო, რა პურმარილი ექნება!

ისიდორე წელზე იბიჯგებს ხელს და ისე ჩადის ჭვენით, ეზოში.

მეზობლის ბავშვმა ჩამოირბინა:

— ბაბუა ისიდორე, გუშინ ჩვენი სოფლის უხუცეს ადამიანებთან გვქონდა შეხვედრა და რატომ გამოგვაკლდიო.

ბერიკაცმა შეხედა ბავშვს.

შერცხვა.

შერცხვა, რადგან ახლა, როცა ირგვლივ ამდენი საქმე იყო და ამდენი ახალი ამბავი, იგი ოთახში იჯდა და გულხელდაკრეფილი (ფუ, არც მინდა მისი ხსენება), იმ შეჩვენებულს ელოდა...

კაკლის ხე წაიქცა.

კაკლის ხე მცენარეა... მაინც ეწყინა.

ეს იყო და ეს.

[E-10]

ფ. 41/8

ვინ რა თქვა

ფიქრები სამშობლოზე

მშობლიური მხარიდან ზღვაზე გამგზავრებული იცვლის თვალსაწიერს და არა გულს.

ჰორაციუსი.

მხოლოდ მამულში ეწევა ქაცი გვირგვინს
და დიდებას...
შენს სამშობლოში ცხოვრება, ჭირსა
და სიმწუხარეში
გერჩიოს, ვიდრე განცხრომით
მეფობდე უცხო მხარეში.

ნიზამი განჯელი.

ხანგრძლივი განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი სიხარულია.

სერვანტესი.

ვისაც განდევნილობაში არ უცხოვრია, მას არ ესმის, როგორი ფერადებით ღებავს ის ჩვენს სულიერ ტანჯვას და როგორ წყვდიადსა და ჯოჯოხეთს ღვრის ის ჩვენს აზრებში. თავისი „ჯოჯოხეთი“ დანტემ განდევნილობაში დაწერა. მხოლოდ იმან იცის, რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, ვისაც განდევნილობაში უცხოვრია.

ჰაინე.

გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო!

დ. გურამიშვილი.

მიწაც ტკბილია მშობლური,
გულს რო ეყრება ფხვიერი.

ვაჟა-ფშაველა.

ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა!

ი. ჭავჭავაძე.

სხვა საქართველო სად არის, რომელი
კუთხე ქვეყნისა?
ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავი
ბედისა?..
შავთა დროთ ვერათ შესცვალეს მის
გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მოყვარე თავის
სამშობლო მიწისა...

გრ. ორბელიანი.

დედამიწის ზურგზედ ძნელად იპოვება იმისთანა ქვეყანა, რომ სამშვენიერით საქართველოს სჯობდეს.

ი. გოგებაშვილი.

ჩვენთვის უფრო სასიამოვნოა მშობლიურ ქვეყანაში პეშვით წყლის დალევა, ვიდრე სხვის ქვეყანაში ბრწყინვალე ოქროს თასით ღვინის სმა.

„კალევალა“,

ფინური ეპოსი.

ალ. გვეტაძის წიგნიდან „აზრთა კონა“.



ზამთარია... ფოტოეტიუდი ნ. მალაზონიასი.

დაგეძებენ, მოგელიან

მალხაზ (გივი) მალონის-ძე გოგიჩაიშვილს, დაბადებულს 1923 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლესა-ჭინათში. ეძებენ დედა — ელენე ივანეს ასული გიგიჩაიშვილი, და — შურა მალონის ასული გოგიჩაიშვილი.

გიგა ილიას-ძე მამისაშვილს, დაბადებულს 1924 წელს ბურჯუანის რაიონის სოფ. არაშენდაში, ეძებენ დედა — ანა (გალოშურა), ძმა — შაქრია, დები — კატია. მარუსა, ნინა მამისაშვილები.

ხვთისო გიორგის-ძე ბოლაშვილს, დაბადებულს 1918 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანაშს, ეძებენ მეუღლე — ტასიკო, შვილი — რონენი, რაალი — მზია, დები — ზინა, ფერიკო ბოლაშვილები.

სიმონ სილიონის-ძე ოგოლაძეს, დაბადებულს 1903 წელს ხაშურის რაიონის სოფ. გომში, ეძებს მეუღლე — თამარ იაგორის ასული სხირტლაძე.

მიხეილ ივანეს-ძე კოზმაიდის, დაბადებულს 1910 წელს ქ. თბილისში, ეძებს და — მარიამ ივანეს ასული კოზმაიდი.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ასლიშვილს ეძებს მეუღლე — ელენე ანდრიას ასული ასლიშვილი.







სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — მალხაზ მალონის-ძე გოგიჩაიშვილი, გიგა ილიას-ძე მამისაშვილი, ხვთისო გიორგის-ძე ბოლაშვილი.

ეკუთვნით საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,83 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი საქართველო

თბილისი, ბ. ათონელის, ქ. № 25.